MES 3 23 0000972564

08/08/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 28 ივლისს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი.
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნია გუგუნავა- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

მაია აბდალაძე- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ნანა შარაბიძე
- ცოტნე ქორჩილავა
- ქეთევან ჯანელიძე
- ნანა შარაბიძე
- ნანა ვერულაშვილი
- თათია გივიშვილი
- ქეთევან ბოტკოველი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

„შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემია“
აკადემიის რექტორი - სოფიო მაჭარაშვილი
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ალინა კუპრავა

შპს „ცხუმ-ეგრისი“
დირექტორი - გელა მამფორია
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნონა თაკალანძე

სსიპ - კოლეჯი "ბლექსი“
დირექტორი - გიორგი გოგიტიძე
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ბიძინა კირთაძე

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“
რექტორი - თეონა ხუფენია
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ქეთევან ლატარია
პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროს - მანანა სამუშია
პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი - ქეთევან ლომაია

სსიპ - „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

რექტორი - შალვა კირთაძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - თეა კორძაძე
პროფესიული ცენტრის ხარისხის მენეჯერი - ნანა შარაბიძე
კანცლერი (ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) - სერგო სვანაძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. „შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის N168, ასევე, ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №190, 2019 წლის 17 სექტემბრის №189, 2020 წლის 27 თებერვლის №38, 2020 წლის 2 აგვისტოს №653484, 2020 წლის 2 აგვისტოს №653483, 2020 წლის 2 აგვისტოს №653482, 2021 წლის 17 ივნისის №587883, 2021 წლის 17 ივნისის №587874, 2022 წლის 15 მარტის №260531 და 2023 წლის 25 იანვრის №78882 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 მარტის №285945 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.
2. შპს ცხუმ-ეგრისის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის N123, ასევე ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის N15, 2020 წლის 7 თებერვლის N16, 2020 წლის 10 აპრილის N335789, 2020 წლის 30 ივნისის N539250, 2022 წლის 10 მარტის N243043, 2023 წლის 4 ივლისის N820453 და 2023 წლის 4 ივლისის N820454 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.
3. სსიპ - კოლეჯ "ბლექსისთვის" ქედის მუნიციპალიტეტში "ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.
4. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. შუამდგომლობა ეხებოდა სამსახურის მიერ საბჭოსთვის ინფორმაციის მიწოდებას. საბჭოს მიერ იყო გაცემული

რეკომენდაცია ცენტრის მიმართ გარკვეული შუამდგომლობების შესახებ, კერძოდ, საქმე ეხებოდა საბჭოს 31 მარტის, 10 აპრილის და 15 მაისის სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომ შპს „სიოს“ ავტორიზაციის ფარგლებში, ასევე, შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერის“ ავტორიზაციის ფარგლებში და შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ მონიტორინგის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ხარისხის ცენტრს, რომ ამ დაწესებულებებში ჩანიშნული მონიტორინგი განხორციელებულიყო დოკუმენტების გამოთხოვით და შესაბამისად, შემდეგ, სამსახურის მიერ, მომხდარიყო საბჭოს ინფორმირება. შპს „სიოს“ ავტორიზაციის შემდეგ მონიტორინგი იყო ჩანიშნული 1.2, 2.2 და 5.2 კომპონენტების გადამოწმების ფარგლებში, ხარისხის ცენტრმა 2 ივნისს გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია და თანდართული მტკიცებულებები კოლეჯიდან, ცენტრმა შეისწავლა აღნიშნული დოკუმენტაცია და ექსპერტთა ჯგუფის შექმნის საჭიროება არ დამდგარა. დაწესებულებას სრულად შესაბამისობაში ჰქონდა დოკუმენტაცია მოყვანილი დასახელებული სტანდარტების კომპონენტებთან. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ მონიტორინგის ფარგლებში 5.1 კომპონენტში იყო მეტწილი შესაბამისობა დაფიქსირებული, დაწესებულებას არ ჰქონდა სრულყოფილად სახანძრო უსაფრთხოების სისტემა წარმოდგენილი, კოლეჯმა 14 ივლისს მოაწოდა ცენტრს დოკუმენტაცია, ამ შემთხვევაშიც არ დამდგარა საჭიროება დამატებით ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა. ცენტრმა შეისწავლა აღნიშნული დოკუმენტაცია და დასტურდება, რომ სრულად არის 5.1 კომპონენტი დაკმაყოფილებული და შესაბამისობაშია სტანდარტებთან. რაც შეეხება შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერის“ ავტორიზაციის ფარგლებში, ასევე, 2.4, 5.1 და 5.2 კომპონენტების ფარგლებში ჩაინიშნა მონიტორინგი დოკუმენტების გამოთხოვით, ცენტრმა გამოითხოვა აღნიშნული დოკუმენტაცია 14 ივნისს. საქმე ეხებოდა დამატებით თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომლითაც ერთ-ერთი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მდგრადობა იქნებოდა უზრუნველყოფილი. დაწესებულებამ 21 ივნისს წარმოადგინა როგორც პირველადი ხელშეკრულება, ასევე დამატებითი მტკიცებულებები, რაც ასევე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენების მტკიცებულებას წარმოადგენდა. აქაც არ დამდგარა საჭიროება შექმნილიყო ექსპერტთა ჯგუფი. აღნიშნული კომპონენტები სრულადაა დაკმაყოფილებული წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მტკიცებულებების საფუძველზე.

საბჭოს თავმჯომარემ აღნიშნა შპს “მერიდიან მერითაიმ თრეინიგ სენთერთან” დაკავშირებით, რომ კოლეჯს საზღვაო აკადემიასთან დადებული ჰქონდა ხელშეკრულება 1 წლის ვადით, მოახერხა თუ არა დაწესებულებამ დაედო სხვა პრაქტიკის ობიექტთანაც ხელშეკრულება.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ნანი დალაქიშვილის განცხადებით, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა ხელშეკრულება შპს „ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან“, რომელიც პროგრამის განხორციელების ვადით უზრუნველყოფდა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს გაეკეთებინათ კომენტარი.

შპს „სიოს“ წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული სამსახურისთვის და პროფესიონალიზმისთვის.

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ წარმომადგენლმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს პროფესიონალიზმისთვის და აღნიშნა, რომ სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით იყო პრობლემები, მეორე სართულზე ყველაფერი იყო წესრიგში და ის ფართი, რომელიც დაემატა დაწესებულებას, მეხუთე სართული, უკვე იყო სრულად შესაბამისობაში. როგორც კი ცენტრმა გამოითხოვა დოკუმენტაცია, კოლეჯმა მაშინვე მიაწოდა მათ აღნიშნული.

შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერის“ წარმომადგენლის განცხადებით, კოლეჯს ნავიგაციის უნივერსიტეტთან დადებული ჰქონდა 7 წლიანი ხელშეკრულება და ასევე საზღვაო აკადემიასთან, შესაბამის მოდულების განხორციელებასთან დაკავშირებით გაფორმებული ჰქონდა უვადო ხელშეკრულება.

პირველი საკითხი: „შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის N168, ასევე, ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №190, 2019 წლის 17 სექტემბრის №189, 2020 წლის 27 თებერვლის №38, 2020 წლის 2 აგვისტოს №653484, 2020 წლის 2 აგვისტოს №653483, 2020 წლის 2 აგვისტოს №653482, 2021 წლის 17 ივნისის №587883, 2021 წლის 17 ივნისის №587874, 2022 წლის 15 მარტის №260531 და 2023 წლის 25 იანვრის №78882 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 მარტის №285945 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საფუძველი იყო დაწესებულების შუამდგომლობა, რომელიც ითხოვდა საჩხერის ლოკაციაზე „საოფისე საქმის“ პროფესიული პროგრამის გაუქმებას. დასაბუთება იყო ის, რომ აღნიშნული პროგრამა არ ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ და იკლო მომართვიანობამ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამის გაუქმების მიზეზი სწორედ ის იყო, რომ არ ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ და იკლო მომართვიანობამ. კოლეჯმა ჩაატარა კვლევა, რომლის შედეგებზე დაყრდნობით რეგიონში სხვა მეტად პრიორიტეტული პროგრამები იყო, რომელიც უფრო მოთხოვნადია . საოფისე საქმის პროგრამაზე ბოლო ორი წელია ისედაც არ აცხადებდა დაწესებულება რეგისტრაციას და მიღებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, იყო თუ არ პროგრამის გაუქმების მიზეზი მხოლოდ დაფინანსების არქონა და შესაბამისად, მომართვიანობის ნაკლებობა, თუ თვითონ პროგრამის შინაარსშიც იყო რაიმე პრობლემა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, შინაარსთანაც იყო პრობლემა. დასაქმების თვალსაზრისით აღნიშნავდნენ, რომ შესაძლებელი იყო არ ყოფილიყო გამოსადეგი სტუდენტებისთვის აღნიშნული კვალიფიკაცია, შესაბამისად თანხის გადახდაც არ უღირდათ ასეთ პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის N168, ასევე, ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №190, 2019 წლის 17 სექტემბრის №189, 2020 წლის 27 თებერვლის №38, 2020 წლის 2 აგვისტოს

№653484, 2020 წლის 2 აგვისტოს №653483, 2020 წლის 2 აგვისტოს №653482, 2021 წლის 17 ივნისის №587883, 2021 წლის 17 ივნისის №587874, 2022 წლის 15 მარტის №260531 და 2023 წლის 25 იანვრის №78882 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 მარტის №285945 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის, ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის N168, ასევე, ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №190, 2019 წლის 17 სექტემბრის №189, 2020 წლის 27 თებერვლის №38, 2020 წლის 2 აგვისტოს №653484, 2020 წლის 2 აგვისტოს №653483, 2020 წლის 2 აგვისტოს №653482, 2021 წლის 17 ივნისის №587883, 2021 წლის 17 ივნისის №587874, 2022 წლის 15 მარტის №260531 და 2023 წლის 25 იანვრის №78882 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 მარტის №285945 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით **(დანართი 1)**.

მეორე საკითხი: შპს ცხუმ-ეგრისის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის N123, ასევე, ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის N15, 2020 წლის 7 თებერვლის N16, 2020 წლის 10 აპრილის N335789, 2020 წლის 30 ივნისის N539250, 2022 წლის 10 მარტის N243043, 2023 წლის 4 ივლისის N820453 და 2023 წლის 4 ივლისის N820454 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, ამ შემთხვევაშიც საოფისე პროგრამის გაუქმებაზე იყო საუბარი. წინა სხდომაზე ცხუმ-ეგრისმა “აღმზრდელის” და “საექთნო საქმის” პროფესიულ პროგრამებზე რაოდენობა გაზარდეს, თუმცა იქ ცალკ-ცალკე იყო გადაწყვეტილებები წარმოდგენილი და ახლა არსებობდა ისეთი პრაქტიკა, რაშიც ცენტრს აქვს საბჭოს მხარდაჭერაც, რომ ერთ გადაწყვეტილებაში და ერთ ცხრილში აკუმულირდება ყველა პროგრამა, რომელიც ჰქონდა დაწესებულებას, ამიტომ ყველა იმ მითითებულ გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნა ცვლილებები და ჩამოყალიბდა ერთი სახით, საოფისე პროგრამა ამოღებულია და ვვარაუდობთ, რომ აქაც იგივე საფუძველი გაჟღერდეს პროგრამის გაუქმებაზე, რაც ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის შემთხვევაში იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ამ შემთხვევაშიც პროფესიული პროგრამის გაუქმების საფუძველი იდენტური იყო, ის რომ პროგრამა არ ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ, ამცირებდა მომართვიანობას, ასევე, დასაქმების მაჩვენებელიც ძალიან დაბალი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცხუმ-ეგრისის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის N123, ასევე, ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის N15, 2020 წლის 7 თებერვლის N16, 2020 წლის 10 აპრილის N335789, 2020 წლის 30 ივნისის N539250, 2022 წლის 10 მარტის N243043, 2023 წლის 4 ივლისის N820453 და 2023 წლის 4 ივლისის N820454 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის, ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს ცხუმ-ეგრისის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის N123, ასევე, ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის N15, 2020 წლის 7 თებერვლის N16, 2020 წლის 10 აპრილის N335789, 2020 წლის 30 ივნისის N539250, 2022 წლის 10 მარტის N243043, 2023 წლის 4 ივლისის N820453 და 2023 წლის 4 ივლისის N820454 გადაწყვეტილებებში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით **(დანართი 2)**.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ნატალია კვაჭანტირაძე

მესამე საკითხი: სსიპ - კოლეჯ "ბლექსისთვის" ქედის მუნიციპალიტეტში "ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციი სსაბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნანა შარაბიძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 6 ივნისის №651086 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი). ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯის „ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება რისთვისაც ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სსიპ-კოლეჯის "ბლექსი" ქედის მუნიციპალიტეტის მისამართზე, 2023 წლის 20 ივნისს ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედაში, აკაკი წერეთლის ქ. №4. ვიზიტი წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მარეგულირებელი დოკუმენტები, საგანმანათლებლო სივრცეები და მათი აღჭურვილობა, საგანმანათლებლო რესურსების სამკითხველო სივრცეში არსებობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა სსიპ-კოლეჯის "ბლექსი“ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს და პროფესიულ მასწავლებლებს. დღის ბოლოს ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტის პერიოდში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები, რომლებიც გააცნო კოლეჯის ადმინისტრაციას და ყველა დაინტერესებულ პირს (თანამშრომლებს).

ექსპერტმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “ინფორმაციის ტექნოლოგია” შეფასების ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა და არც რეკომენდაციები გაცემულა.

პროფესიული საგანმანათლებო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგია“

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯი წარმოადგენდა მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც მორგებულია შრომის ბაზარის მოთხოვნებზე. კოლეჯი მიზნად ისახავს პრიორიტეტული მიმართულების პროგრამების გამრავალფეროვნებას და მაღალმთიან აჭარაში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას. კოლეჯის 2023 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო ქედის მისამართზე პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განხორციელება, რომელიც მაღალ მოთხოვნადია აპლიკანტთა და სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციებსა და კერძო კომპანიებში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ მატერიალურ,

ადამიანურ რესურსებს, პროგრამის განხორციელების მიდგომას, პროგრამის სპეციფიკასა და მოთხოვნადობას, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დამატებით ფაქტორებს. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობა არის - 24 (ოცდაოთხი) პროფესიული სტუდენტი ეფუძნება სსიპ კოლეჯი „ბლექსი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას. განაცხადის დანართის სახით წარმოდგენილია ინფორმაცია თუ, როგორ იქნა გაანგარიშებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა. პროგრამისათვის გათვალისწინებულია 2 გარემო. A/C და B გარემო. მათ შორის, B გარემო შეგვიძლია განვიხილოთ როგორც C გარემო. ის ასევე, გამოყენებული იქნება მეფუტკრეობის დუალურ პროგრამაზე ,,ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის სწავლებისათვის. მიუხედავდა იმისა, რომ A გარემოს ფართი იძლეოდა 14 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობას, ჯგუფში 12 პროფესიული სტუდენტის მოთხოვნა განაპირობა B გარემოს ფართმა, სადაც რეალურად 12 სტუდენტზე მეტი ვერ განთავსდება. პროგრამაზე გარემოთა ოდენობა იძლევა იმის საშუალებას რომ ერთდროულად განხორციელდეს ორ ჯგუფში სწავლება. დაწესებულების რეგულაციით სწავლება შესაძლებელია ორ ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც. ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სწავლების გრაფიკის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები და შესაბამისად გრაფიკი მორგებული იქნება მათ მოთხოვნებზე.

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფდა პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ფარგლებში სულ გათვალისწინებულია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის, 5 ზოგადი მოდულის და 4 პროფესიული მოდულის. პროგრამის ფარგლებში სულ გათვალისწინებულია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის, 5 ზოგადი მოდულის და 4 პროფესიული მოდულის. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, იყო თუ არა დაწესებულებაში ადგილობრივი მასწავლებლები.

ექსპერტის განმარტებით, ბათუმიდან იყო მხოლოდ ორი განმახორციელებელი, რომელიც აღნიშნულ პროგრამას უზრუნველყოფდა, დანარჩენი ყველა იყო ადგილობრივი. ექსპერტების იქ ყოფნაში ადგილობრივ მასწავლებლებს უკვე დაწყებული ჰქონდათ ცისკოს პროგრამით სწავლება და საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე ისინი უკვე გადამზადებულნი იყვნენ შესაბამისი კომპეტენციის კიდევ უფრო გასაძლიერებლად.

საბჭოს წევრმა ტიტე ბოლქვაძემ მიმართა კითხვით ექსპერტს, ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით იყო თუ არა ფუნქცია-მოვალეობები გამიჯნული.

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით ბათუმიდან პროგრამის ხელმძღვანელი იმიტომ იყო ჩასული, რომ დროებით, პირველ ეტაპზე, გაეძლიერებინა

ადგილობრივი ხელმძღვანელის კომპეტენციები, შესაბამისად, დახმარება გაწეულ იქნა იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც იყო საჭირო, ფაქტიურად კონსულტანტების როლში იყვნენ ბათუმელი თანამშრომლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს დაეფიქსირებინა საკუთარი აზრი აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

დარგის ექსპერტის განმარტებით, შეიძლება დამატებით ითქვას, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯი ნამდვილად აკმაყოფილებდა მატერიალურ, ადამიანურ და სასწავლო რესურსებს, იძლეოდა შესაძლებლობას, უზრუნველყოფილი ყოფილიყო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ყველა კრიტერიუმი. ექსპერტთა ჯგუფმა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საჭირო სამკითხველო სივრცეები, მათ შორის, აღჭურვილობები დაათვალიერა და დადგინდა, რომ სწავლის შედეგების განხორციელების კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს პროფესიონალიზმისთვის და აღნიშნა, რომ ქედა იყო მაღალმთიანი რაიონი, რომელსაც მოთხოვნებიდან გამომდინარე ნამდვილად სჭირდებოდა აღნიშნული პროგრამის დამატება და კიდევ სხვა პროგრამების განხორციელებასაც გეგმავდა, როცა დაწესებულება ამისთვის მზად იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ვინაიდან დაწესებულებამ კვლევა ჩაატარა აღნიშნული პროგრამის საჭიროების შესახებ, როგორ ფიქრობდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მათი პოტენციური სტუდენტი. იქნებოდნენ თუ არა სტუდენტები სკოლის მოსწავლეები, ვინაიდან პროგრამა 9 კლას დამთავრებულზე იყო ორიენტირებული.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით პროგრამა ხელმისაწვდომი იქნებოდა ფართო საზოგადოებისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, მათ შორის, 9 კლას დამთავრებულისთვის. მოგეხსენებათ, აღნიშნულ ქედის რეგიონში ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა, ბიზნესი და ტურიზმი. ყოველდღიურად დღის წესრიგში დგებოდა თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მიმართ ცოდნის საჭიროება და სწორედ ამან გამოიწვია პირველ ადგილზე პროგრამის წამოწევა. რაც შეეხება სკოლის მოსწავლეების მიღებას, შესაძლებელია პარალელურად იყვნენ სკოლის მოსწავლეები, ვინაიდან დაწესებულებაში სწავლა მიმდინარეობდა ორ ცვლაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ "ბლექსისთვის" ქედის მუნიციპალიტეტში "ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ "ბლექსის" ქედის მუნიციპალიტეტში (ს/კ: 245610398) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 3).**

მეოთხე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჯანელიძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 11 მაისის № 531332 ბრძანების საფუძველზე ჩანიშნული გეგმიური მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ფარმაცია" და " საექთნო

საქმე" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციას. ვიზიტი შედგა 2023 წლის 22, 23 მაისს ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. N14, ხოლო 24 მაისს ქ. სენაკში. ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ შეჯერებული დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში შედგა შეხვედრა დაწესებულების რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან. ჩატარდა გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფაზე, დაწესებულების ადამიანური რესურსების, მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, შრომის უსაფრთხოების მენეჯერთან და სხვა ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებულ იქნა პროგრამებთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო/ ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. ასევე შემოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ჯგუფი გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. განხორციელდა ვიზიტი პროგრამის პრაქტიკის ობიექტებზე. ადგილზე ჩატარდა გასაუბრება აღნიშნულ გარემოზე და იქ განთავსებულ მატერიალურ რესურსზე პასუხისმგებელ პირებთან. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს ამომწურავად უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა მიერ, დასკვნის პროექტის ფარგლებში, 2.4.1.6; 3.1.1.4.; 4.1.2.1; 5.1.2.1; 5.1.2.3;5.1.2.4. ინდიკატორები შეფასდა როგორც არ შეესაბამება, მაგრამ სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა აკადემიური საბჭოს 2023 წლის 23 ივნისის 34 დადგენილებით დამტკიცებული(შემდეგ დაკორექტირებული): 1. შეუსაბამობის აღმოფხვრის სამოქმედო გეგმას 2. განმავითარებელ რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა. დამტკიცებული სტანდარტებთან შესაბამისობის აღმოფხვრის 6 თვიან გეგმაში გათვალისწინებულია ყველა ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიება, რომელთა შესრულებაც გაწერილია დროში, განსაზღვრულია შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეულები, სხვა ჩართული მხარეები შესრულების მტკიცებულებები. სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის შესწავლით დადასტურდა, რომ კოლეჯს აქვს მზაობა აღმოფხვრას ექსპერტთა მიერ გამოვლენილი ხარვეზები, შესაბამისად, ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, ინდიკატორები შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

შესაბამისობის რეკომენდაციები:

ინდიკატორი 2.4.1.6 სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ევაკუაციის გეგმის შეთანხმება კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის ორგანოსთან; მოეწყოს ვიდეომეთვალყურეობის სისტემა საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად. დადგენილება No101 2022 წლის 2 მარტი ქ. თბილისი ავტომატური ფოტო- და ვიდეოტექნიკის ტექნიკური მახასიათებლებისა და მათი ექსპლუატაციის წესის, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა გარე პერიმეტრზე სავალდებულოა ავტომატური ფოტო- ან/და ვიდეოტექნიკის განთავსება/დამონტაჟება(გათვალისწინებულ უნდა იქნას დადგენილების ცვლილებაც საქართველოს მთავრობის დადგენილება No190 2023 წლის 22 მაისი) და დაწესებულებამ უზრუნველყოს სახანძრო შესაბამისობა, რაც დადასტურებული იქნება წარმოდგენილი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო შესაბამისობის დასკვნით.

ინდიკატორი 3.1.1.4. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის დაცვა და ხელშეკრულება პროფესიულ სტუდენტთან გაფორმდეს წესის დაცვით.

ინდიკატორი 4.1.2.1 სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პერსონალის პირად საქმეებში საქართველოს მთავრობის დადგენილების (No463 2020 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი) „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის

წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ მოთხოვნილი სქესობრივ დანაშაულებზე ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენა.

ინდიკატორი 5.1.2.1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ფართში სრულად სახანძრო უსაფრთხოების ზომების დაცვა, რაც დადასტურებული იქნება წარმოდგენილი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო შესაბამისობის დასკვნით.

ინდიკატორი 5.1.2.3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ევაკუაციის გეგმის შეთანხმება კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის ორგანოსთან.

ინდიკატორი 5.1.2.4. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მოწყობა საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად. დადგენილება No101 2022 წლის 2 მარტი ქ. თბილისი ავტომატური ფოტო- და ვიდეოტექნიკის ტექნიკური მახასიათებლებისა და მათი ექსპლუატაციის წესის, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა გარე პერიმეტრზე სავალდებულოა ავტომატური ფოტო- ან/და ვიდეოტექნიკის განთავსება/დამონტაჟება(გათვალისწინებულ უნდა იქნას დადგენილების ცვლილებაც საქართველოს მთავრობის დადგენილება No190 2023 წლის 22 მაისი).

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსი.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობისათვის ზუგდიდსა და სენაკში კეთილმოწყობილია შემდეგი სახის სივრცეები: თეორიული სწავლების აუდიტორიები; კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები; დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტები/სახელოსნოები; ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის; სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის; დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის; სივრცე პროფესიულ სტუდენტთა სპორტული ან შემოქმედებითი საქმიანობისათვის; სანიტარიული კვანძები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში (ზუგდიდი, სენაკი) დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები. შენობის საევაკუაციო გასასვლელებში და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილებში გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ერთიანი სატელეფონო ნომერი „112“. შენობაში ამჟამად მონტაჟდება სახანძრო სიგნალიზაცია, საევაკუაციო გზებსა და გასასვლელებში ეწყობა საევაკუაციო გზის და გასასვლელების მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები. სასწავლო უნივერსიტეტს ჰყავს შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომელიც სამი სპეციალისტით იყო წარმოდგენილი. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა შსს სსიპ სამეგრელო-ზემო სვანეთის - საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს მიერ 2017 წლის 22 ოქტომბერს გაცემული განკარგულება N 23/11/-36 სახანძრო ტექნიკური შემოწმების ჩატარების შესახებ. აღნიშნული აქტის შესაბამისად დაწესებულებამ განახორციელა რიგი აქტივობები, რასაც ადასტურებს 2018 წლის შემოწმების აქტი. შეუსრულებელი დარჩა ერთი პუნქტი, კერძოდ: სამეთვალყურეო პულტში ჩართული ხანძრის შესახებ მაუწყებლობის სისტემა. შესაბამისად ყველა აქტივობის შესრულების ვადა უკვე

გასულია. ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა შესყიდვისა და ტენდერის დოკუმენტაციები, ხელშეკრულებები, რაც ადასტურებს, რომ სასწავლო უნივერსიტეტში ამჟამად ხორციელდება აღნიშნული სისტემის მონტაჟი. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულია „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“ და შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი, რომელსაც აქვს საგანგებო შტაბის შეტყობინების გეგმა. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა ჯერ არ არის შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან. სასწავლო უნივერსიტეტში შექმნილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მასთან დაკავშირებული პროცესების მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს. გამოყოფილია პერსონალი (სამსახურის უფროსი), რომელიც მართავს საინფორმაციო ტექნოლოგიებს და მასთან დაკავშირებულ პროცესებს. სამსახური შედგება 8 სპეციალისტისგან. აქედან სამი ემსახურება სენაკის ფილიალს. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ოფიციალური ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო საქმე“

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი (პროგრამის დანართი) და სასწავლო რესურსი, რომლებიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. დაწესებულებას პროგრამის თეორიული სწავლებისთვის გამოყოფილი აქვს ორი A და ერთ B სასწავლო გარემო. პრაქტიკული სწავლის შედეგები, რომლებიც არ მიიღწევა სასწავლო უნივერსიტეტში, გატანილია პრაქტიკის ობიექტებზე სამედიცინო დაწესებულებებში. ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადასტურდა პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა და დადგინდა რომ მათი საშუალებით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული რიგი სწავლის შედეგების მიღწევა. სიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ქ. სენაკის ბაზაზე, საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო ფარგლებში ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 60 ადგილით, ყოველწლიურად 20-20 სტუდენტი. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული ნაწილის სწავლება, ძირითადად პრაქტიკის ობიექტებზე იგეგმება. პრაქტიკული სწავლების მოდულების, ასევე კლინიკური სწავლების მოდულების განხორციელება იგეგმება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებშია :- „შპს ქ. სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, კლინიკა შპს „არქიმედეს კლინიკა“, შპს „სენაქმედი“. შპს არქიმედეს კლინიკაში მოწყობილი არის AC გარემო, სადაც განთავსებულია პრაქტიკული მოდულების(შინ მოვლის და ავად მოვლის) სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ინვენტარი. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ქ. სენაკის ბაზაზე საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ თეორიული მოდულების განსახორციელებლად დაკავებული ჰყავს 25 პროფესიული მასწავლებელი და 12 კლინიკური მოდულის განმახორციელებელი. ექსპერტთა მიერ შემოწმდა ასევე პროგრამაში ჩართულ პროფესიულ მასწავლებელთა სასწავლო საქმიანობა და დადგინდა, რომ მათი რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და არ აღემატება კვირეულ 40 საათს.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. . პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია“

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომლებიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. უნდა აღინიშნოს, რომ ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან („ფარმაცია“) ერთად ხორციელდება აკადემიური პროგრამაც. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა ხომ არ იქმნება აკადემიური ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განცხადებით, პროფესიული პროგრამებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი (A და B გარემო) არის მხოლოდ პროფესიული პროგრამებისათვის და ადგილი არ აქვს გადაფარვას აკადემიურ პროგრამებთან, ხოლო რაც შეეხება C გარემოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს რამდენიმე ლაბორატორიას, სადაც ხორციელდება „ფარმაციის“ საბაკალავრო პროგრამის ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ წარმოადგინა აუდიტორიების დატვირთვის სქემები. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი, თუმცა მათი დატვირთვების გადამოწმებისას არ იქმნება პროგრამების განხორციელების რისკი. შესაბამისად, არ არის პროფესიული და აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას საათების დამთხვევის რისკი. პრაქტიკული სწავლის შედეგები, რომლებიც არ მიიღწევა სასწავლო უნივერსიტეტში, გატანილია პრაქტიკის ობიექტებზე აფთიაქებში. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ: დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,ფარმაცია (სააფთიაქოში)“ საჭირო მატერიალური რესურსი. სასწავლო უნივერსიტეტს ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მიზნებისთვის აქვს სამი AC გარემო, ორი B გარემო და ორი A გარემო. სასწავლო გარემოს მოდელი A/C გარემო - ქიმიურ-ტექნოლოგიურ-სააფთიაქო ბლოკი, განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის და ერთი პედაგოგისთვის. C გარემოში განთავსებულია: სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი კარადა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის და ა.შ. სასწავლო გარემოს მოდელი A/C გარემო - ქიმიურ-ბიოლოგიურ-სააფთიაქო ბლოკი განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის და ერთი პედაგოგისთვის, ხოლო სასწავლო გარემოს მოდელი A/C გარემო - ქიმიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის და ერთი პედაგოგისთვის. C გარემოში განთავსებულია: სამუშაო მაგიდები, სკამები, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით და ა.შ.

ექსპერტის განცხადებით, აღსანიშნავია, რომ „ავერსი ფარმას“ ზუგდიდში აქვს 7 აფთიაქი, რომელშიც გადიან სტუდენტები პრაქტიკულ მეცადინეობებს. სტუდენტები განაწილებულია არიან შემდეგნაირად: თითო აფთიაქში ცვლაში ორი სტუდენტი, (ზოგი აფთიაქი არის დიდი და შესაბამისად იტევს 3 სტუდენტს ცვლაში). პრაქტიკულ ნაწილში ეს სტუდენტები მიმაგრებულნი არიან ფარმაცევტებთან. ვიზიტის დროს განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება. განხორციელდა ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან და პრაქტიკული მოდულების განმახორციელებელ ფარმაცევტებთან. დადგინდა რომ განმახორციელებელი პირები ზედმიწევნით იცნობენ პროგრამას, მოდულებს, გავლილი აქვთ ტრენინგი სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის თემაზე, შეფასების ინსტრუმენტების შედგენა ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელთან კომუნიკაციით. პრაქტიკის ობიექტებზე მიმდინარეობს დასწრების აღრიცხვა. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 18 პროფესიული პედაგოგი მათ შორის 6 დარგის კვალიფიციური სპეციალისტი. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ, მიმართა ექსპერტს კითხვით და აღნიშნა, რომ ხელშეკრულებაში აპლიკანტის ტერმინი შეცდომით იყო ჩარჩენილი, თუ რეალურად აპლიკანტთან ჰქონდა დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული. იგი დაინტერესდა, თუ როგორ მოხდებოდა აღნიშნულის გასწორება, ხელშეკრულება გაუქმდებოდა თუ უბრალოდ ჩასწორდებოდა.

ექსპერტის განმარტებით, თავსართში, სადაც ხელშეკრულება იდება, ჩაწერილი იყო აპლიკანტის ტერმინი და შემდეგ უკვე მთლიან ხელშეკრულებაში მოხსენიებულია როგორც სტუდენტი, შესაბამისად, ხელშეკრულება რეალურად გაფორმებული იყო სტუდენტთან. რაც შეეხება აღნიშნულის გამოსწორებას დაწესებულება გაივლიდა იურისტთან კონსულტაციას და მიიღებდნენ რეკომენდაციას თუ როგორ უნდა მომხდარიყო აღნიშნული შეცდომის ჩასწორება, ისე რომ არაფერი არ გაფუჭებულიყო. რაც შეეხება პროცედურას, სწორად ჰქონდა კოლეჯს დაცული აღნიშნული პროცესი, ატვირთული და ემისში შეტანილი იყო ყველა ინფორმაცია და თანმდევი პროცედურებიც სწორად იყო გაკეთებული.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ნანი დალაქიშვილის განცხადებით, აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრსაც გაუჩნდა შეკითხვები, რომელზეც იმსჯელეს როგორც ექსპერტებთან ერთად, ასევე დაწესებულებასთან და ნამდვილად იყო ყველა ხელშეკრულება გაფორმებული უკვე სტუდენტის სტატუსის მქონე ადამიანებთან. კოლეჯი შეცდომაში შეიყვანა დებულებამ, სადაც დღეების თანმიმდევრულობა აღნიშნული პროცედურისა არ იყო ზუსტად გაწერილი. მისი თქმით, აღნიშნული ხელშეკრულებები იყო ფორმალურად გასასწორებელი და ტერმინოლოგია შესაცვლელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით „ფარმაციის“ პროგრამის ფარგლებში, თუ როგორ მოახდინეს მატერიალური რესურსის შეფასება პრაქტიკის ობიექტზე.

დარგის ექსპერტის განმარტებით, ხელშეკრულებას თან ახლდა მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, შესაძლებელი იყო აღნიშნულ ჩამონათვალში არსებული საგანი, იქნებოდა ეს მოვლის საშუალებები თუ სხვა, მოგვეთხოვა და ობიექტმა შეძლო წარმოედგინა მატერიალური რესურსის დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, „საექთნო საქმის“ პროგრამის ფარგლებში, თუ რომელ კლინიკებში განახორციელეს ვიზიტი და რამდენად შესაძლებელი იყო იქ სასწავლო პროცესების წარმართვა, ვინაიდან ამ ტიპის პროგრამაზე სწავლების ნახევარი მიმდინარეობდა კლინიკებში.

დარგის ექსპერტის განცხადებით, შპს „არქიმედეს“ კლინიკაში განხორციელდა პირველად ვიზიტი, სადაც დათვალიერდა A, C გარემო, ასევე ქ. სენაკში ექსპერტთა ჯგუფი ეწვია ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს, რომელშიც დაცული და უზრუნველყოფილი იყო თავდაცვის საშუალებები, ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა ყოველდღიური დღიურების წარმოების ფაქტიც, სადაც აღწერილი იყო სტუდენტების მიერ ნანახი მანიპულაციები. აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის ხელმძღვანელის დიდი ჩართულობა იყო შპს არქიმედეს კლინიკაში. მისი თქმით, განმახორციელებლებს გააჩნდათ უწყისები, სადაც თვითონ პედაგოგის გარდა სხვა პროფესიული მასწავლებლებიც უდასტურებენ მოდულების შესრულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს პროფესიონალიზმისთვის და აღნიშნა, რომ უსაფრთხოების სისტემების მზადყოფნა ექსპერტებმა ადგილზე იხილეს და დარწმუნდნენ, რომ პროცესები დაწყებული და დასრულებისკენ იყო მიმართული. რაც შეეხება სხვა მუხლებს და პარამეტრებს, სამეთვალყურეო სისტემაზე დაწესებულებამ ორჯერ გამოაცხადა სახელმწიფო ტენდერი, რომელიც უშედეგოდ დასრულდა. მისი თქმით, ახალმა უსაფრთხოების სისტემამ რამდენიმე წლის განმავლობაში უნდა იმუშაოს და გაუძლოს იმ გამოწვევებს, რომელიც მუდამ შემოდიოდა ამ დარგში, შესაბამისად, კოლეჯი არ ჩქარობდა და მითითებულ სარეკომენდაციო ვადაში განიხილავდა ყველაფრის დადასტურებას და სრულად წარმოდგენას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო:
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, რომ გააჟღერეს ასეთი საინტერესო საკითხები და მისცეს საბჭოს საშუალება სიღრმისეულად ემსჯელა და დაფიქრებულიყო თუ როგორი ინტერპრეტაცია მიეცემოდა ავტორიზაციის სტანდარტებში წარმოდგენილ მოთხოვნებს, შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილება დაწესებულების მონიტორინგთან დაკავშირებით შემდეგია: საბჭომ დაწვრილებით განიხილა ექსპერტების მიერ დაფიქსირებული შესაბამისობის რეკომენდაცია, იმიტომ რომ მონიტორინგის შეწყვეტასთან ერთად ჩაინიშნებოდა ერთ საკითზე მონიტორინგი. მისი თქმით, ექსპერტებმა დააფიქსირეს შესაბამისობის რეკომენდაცია 2.4 და 5.1 კომპონენტებთან მიმართებით, დააფიქსირეს იგივე შინაარსის შესაბამისობის რეკომენდაციები, რომელიც უსაფრთხოების ზოგად წესებს ეხებოდა, თუმცა 2.4 კომპონენტის შემთხვევაში უსაფრთხოება განიხილება დარგობრივ ჭრილში. როგორც აღმოჩნდა პროგრამის დარგობრივ უსაფრთხოებასთან მიმართებით ექსპერტებს შენიშვნები არ ჰქონდათ, ამიტომ 2.4 კომპონენტთან მიმართებაში დაფიქსირებულ რეკომენდაციას საბჭო არ ეთანხმებოდა. რაც შეეხება 5.1 კომპონენტთან დაფიქსირებულ რეკომენდაციას, აღნიშნული იყო საფუძველი იმისათვის, რომ ჩანიშნულიყო მონიტორინგი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, გამომდინარე დაფიქსირებული შეუსაბამობის შინაარსიდან. რაც შეეხება 3.1 კომპონენტთან დაფიქსირებული შესაბამისობის რეკომენდაციას, რომელიც მოითხოვდა, რომ „ხელშეკრულება პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულიყო წესის დაცვით“, რეალურად ეხებოდა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ტერმინების „აპლიკანტი“ და „სტუდენტი“ გამოყენებას, ამ შემთხვევაშიც საბჭო მიიჩნევდა, რომ ეს არ იყო შესაბამისობის რეკომენდაცია, თუნდაც იმიტომ, რომ ეს საკითხი არ იყო ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული

თვითონ რეგულაციაში, რაც იწვევდა დაწესებულების მიერ ორაზროვან გაგებას. საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ აღნიშნული შესაბამისობის რეკომენდაცია განხილულიყო როგორც განმავითარებელი რეკომენდაცია. საბჭომ თხოვნით მიმართა ცენტრს, რომ დაეზუსტებინა საკითხი, თუ რა მომენტიდან ითვლებოდა აპლიკანტი პროფესიულ სტუდენტად, რა ტერმინი უნდა გამოიყენონ დაწესებულებებმა და გაუზიარონ დაზუსტებული ინფორმაცია როგორც დაწესებულებებს, ასევე ექსპერტებს, რათა მათ შეძლონ სწორი ტერმინოლოგიის გამოყენება. რაც შეეხება 4.1 კომპონენტს, რომელიც ეხებოდა 2 ცნობის წარმოდგენის მოთხოვანს - ნასამართლეობის ცნობას და ცნობას საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლების შესახებ, ამ შემთხვევაში ლოგიკურად, თუ პიროვნებას აქვს ნასამართლეობა ეს იმას ნიშნავს, რომ მას უნდა მოვთხოვოთ ცნობა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლების ჩამორთმევის შესახებ, და პირიქით - თუ პიროვნებამ წარმოადგინა ცნობა ნასამართლეობის არქონის შესახებ, მეორე ცნობის წარმოდგენა აუცილებელი არ იყო. დაწესებულების ყველა თანამშრომელს წარმოდგენილი ჰქონდა ცნობა ნასამართლეობის არქონის შესახებ, შესაბამისად შესაბამისად, ექსპერტების მოთხოვნა მეორე ცნობის წარმოდგენასთან დაკავშირებით, რაც დამატებით მატერიალურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული, საბჭომ არ მიიჩნია საჭიროდ. აღნიშნულ რეკომენდაციას საბჭო ვერ განიხილავდა შესაბამისობის რეკომენდაციად და ესეც გადავიდოდა განმავითარებელი რეკომენდაციის ნაწილში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (ს/კ:236098851) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, 5.1 კომპონენტში, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 23 იანვარი.

მეხუთე საკითხი: . სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ბოტკოველი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, 2023 წლის 21 ივნისის MES 3 23 0000738438 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი. წევრი: ქეთევან ჯანელიძე) დაევალა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების მიზნით მონიტორინგის განხორციელება. ვიზიტი, ბრძანების თანახმად, განხორციელდა 2023 წლის 30 ივნისს. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა. სტანდარტის შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის ჩატარდა წინასწარი შეხვედრა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების (ZOOM) გამოყენებით, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 2023 წლის 30 ივნისს განხორციელდა ვიზიტი. დაწესებულების ინფრასტუქტურისა და მატერიალური რესურსის დათვალიერება განხორციელდა როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის, ასევე დარგის ექსპერტის მიერ. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ მასწავლებლებთან. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.

წინა ვიზიტის ფარგლებში განსაზღვრული შესაბამისობის რეკომენდაცია

2.2.1.1. თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დადასტურდეს სათანადო მემორანდუმით. დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია და მოდულისთვის „ღონისძიებების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება“ მატერიალური რესურსის უზრუნველსაყოფად, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შესაბამის დაწესებულებებს შორის. ეს კომპანიებია: შპს დამოუკიდებელ ტელეკომპანია „მეგა ტვ“, ა(ა)იპ ქუთაისის

სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება, სსიპ საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება და ბავშვთა გასართობი ცენტრი „პანდა“. გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გულისხმობს სასწავლებლის გარეთ კოოპერაციული სწავლების ფორმით პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული გარკვეული მოდული(ებ)ის განხორციელებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ღონისძიების ორგანიზება“

ექსპერტთა მიერ ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ღონისძიებების ორგანიზება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დაწესებულებას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი. ყველა პროფესიული მოდულის განხორციელება დაგეგმილია A და B გარემოში (40 სტუდენტი 2 მიღებაზე), რომლებიც, აღჭურვილია საჭირო ინვენტარით (A გარემოში განთავსებულია 20 მაგიდა და სკამი, 1 პროექტორი, 1 პრინტერი, 1 კომპიუტერი; B გარემოში - 20 მაგიდა და საკამი, 20+1 კომპიუტერი). C სასწავლო გარემო ესაჭიროება მოდულს „ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება“, ასევე მოდულებს: „გაცნობითი პრაქტიკა - ღონისძიების ორგანიზება (სასწავლო ექსკურსიების ფარგლებში საწარმოს დათვალიერება)“, „პრაქტიკული პროექტი - სადღესასწაულო ღონისძიებების ადმინისტრირება“, პრაქტიკული პროექტი - სპორტულ სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა“. აღნიშნული პროფესიული მოდულების განხორციელებისათვის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შესაბამის დაწესებულებებს შორის. ეს კომპანიებია: შპს დამოუკიდებელ ტელეკომპანია „მეგა ტვ“; ა(ა)იპ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება; სსიპ საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება; ბავშვთა გასართობი ცენტრი „პანდა“.

ექსპერტის განცხადებით, მხარეებს შორის გაფორმებულ მემორანდუმებში მითითებულია განსახორციელებელი მოდულები: 1. გაცნობითი პრაქტიკა - ღონისძიების ორგანიზება (სასწავლო ექსკურსიების ფარგლებში საწარმოს დათვალიერება), „ღონისძიებების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება“, „პრაქტიკული პროექტი - სადღესასწაულო ღონისძიებების ადმინისტრირება“, პრაქტიკული პროექტი - სპორტულ სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა“. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე მოინახულა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები. კერძოდ: ა(ა)იპ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება; სსიპ საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება და ბავშვთა გასართობი ცენტრი „პანდა“. ყველა ორგანიზაცია ფლობს მოდულების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ რესურსს. აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების დარბაზში, სპორტული ღონისძიებების გარდა ეწყობა სხვა სახის ღონისძიებებიც. ყველა პრაქტიკის ობიექტი თავისუფლად იძლევა მემორანდუმით გათვალისწინებული კვოტის ფარგლებში სასწავლო პროცესის განხორციელების საშუალებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია მოდულების განხორციელებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსით. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 16, მათ შორის 9 ემსახურება პროფესიული დარგობრივი მოდულების განხორციელებას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“ და მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით

გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს პროფესიონალიზმისთვის და აღნიშნა, რომ პირველივე ვიზიტის შემდეგ მოხდა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ს/კ:212693049) "ღონისძიების ორგანიზების“ საგანმანათლებლო პროგრამისათვის განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 16:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. საჩხერე, ივანე გომართელის ქ. №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, წერონისის №208
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. საჩხერე, ივანე გომართელის ქ. №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, წერონისის ქ. №208 ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. № 28
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

პროგრამის სახელწოდება	მშენებლობის მწარმოებელი
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. № 28
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	72
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87

პროგრამის სახელწოდება	საბაჟო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1032
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. № 28
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123

პროგრამის სახელწოდება	საოფისე საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0415
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №28
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	112
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	142
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	89

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, წერონისის ქ. №208
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	84
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. საჩხერე, ივ. გომართელის ქ. №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	63
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ.28
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	64
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, წერონისის ქ. №208
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, წერონისის ქ. №208
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. №32
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	14
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. №32
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. №32
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. №32
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	10
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. №32
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	77

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. №32
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. №32
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, აკაკი წერეთლის ქ. No4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	24
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76